



უ. მირიკის პოსტდენიკო, განუცხადლოთ ეს ჩემი მოთხოვნისგან ზემოთ მოხსენებულს გლეხთა საზოგადოებას \*) და ამას შემდეგ მოიქცეთ 81 მუხლის ძალით ნაკაზის დახსნაზე; ამასთანავე ვგზავნი რა დებულებებს ოქმის პირსა, პატივის ცემით განვიცხადებთ, რომ ეს ჩემი მამული გირაოსაგან თავისუფალია (თუ მართლა არსად არ არის დაგირავებული), ანუ ეს ჩემი მამული დაგირავებული აქვს ქაქცასის აქეთა მხარის საზოგადო მურნელოების პრიკაზსა, ან ა მ ა დ ა ა მ ა კერძობითს პირსა ა მ დ ე ნ - დ ა ა მ დ ე ნ მანეთად-კაპ.

მულაბეგის ხელწერილი და იმის დამოწმება (66 და 74 მუხლის მებრ).

**შენიშვნა 1.** თუ განცხადება ხელმოწერილია, ან თუ წარდგენილია ხელმოსაწერათ არა მებატონისაგან, არამედ მებატონის რწმუნებულის პირისაგან, მაშინ ამან უნდა წარმოადგინოს კანონიერი რწმუნების წერილი.

2, მებატონის განცხადება, იმაზე თუ რა ღირსების სახელმწიფო ხუთ პროცენტთან ბანკის ბილეთები, ანუ მოწმობა, უნდა მიიღოს, შეიძლება ამასთანავე გაიგზავნოს, ან თვითონ მებატონემ წარადგინოს ლუბერისის საგლეხო სასამართლოში (76 მუხლი ნაკაზის).

**ფორმა ობъявления помѣщика**

ო. **предоставлении крестьянскому обществу выкупа земельного надела на основании 19 ст. Наказа по выкупной операции в Тифлисской и Кутаисской Губерниях.**

\*) **შენიშვნა.** რადიდანაც გლეხთა საზოგადოებას გამოუცხადებენ მებატონის მოთხოვნისგან ადგილების დახსნაზე, იმავე დღიდან დაწერილი ერთი თვის განმავლობაში ყველა იმ საზოგადოების გლეხნი ვალდებული არიან შეგროვდნენ და განაჩინონ ზომა იმ ადგილებისა, რომელნიც უნდა მიიღონ საკუთრებათ, ამასთანავე შესაძენი ნაღდი შეიძლება დაიჭირონ იმაზე ნაკლები, რამდენიც ნაკაზის 37 მუხლშია ნაჩვენები, **თუ** ერთი თვის განმავლობაში გლეხები არ წარუდგენენ შემოსენებულს განჩინებას მირიკის პოსტდენიკსა, მაშინ მებატონის მოთხოვნა დახსნაზე მაინც იწარმოებს დადგენილის წესით და გლეხები მაინც მოვალენი იქნებიან დახსნა სრული ნაღდი, რომელიც იმათ მიცემული აქვთ ვარა იმ ნაწილებისა, რომელნიც მოხსენებულნი არიან 14 მუხლში (იხილეთ ნაკაზის 81 მუხლის 1 და 3 პუნქტი).

Мировому Посреднику  
Отдѣла *такого-то* уѣзда.

*Такого-то* (звание имя, отчество и прозвание владѣльца имѣнія)

**ОБЪЯВЛЕНИЕ.**

Въ имѣніи моемъ, находящемся въ Тифлисской Губерніи въ *такомъ-то* уѣздѣ въ селеніи *такомъ-то*, доставшемся мнѣ по... (объяснить отъ кого и какъ дошло имѣніе до владѣльца: по на слѣдству, или покупкою, или инымъ и какимъ именно способомъ) водворено и показано за мною по уставной грамотѣ *столько-то* дымовъ временно обязанныхъ крестьянъ, составляющихъ, согласно примѣчанію къ 6 статьи Наказа по выкупной операциі въ Тифлисской и Кутаисской Губерніяхъ, крестьянское общество, \*) принадлежащее къ составу *такого-то* сельскаго общества.

Означеннымъ крестьянскимъ дымамъ, въ которыхъ числится по уставной грамотѣ *столько-то* душъ муж. пола предоставлено въ надѣлъ:

1) *Такому-то* (имя и прозвание) усадебной земли *столько-то* и полевой: *такая-то-столько-то*, *такая-то-столько-то*, (показать тѣ самыя достоинства полевыхъ земель и въ томъ количествѣ какое поступило крестьянину въ надѣлъ по уставной грамотѣ.)

Послѣ утверждения уставной грамоты ни какихъ перемѣнъ въ составѣ и количествѣ на-

дела не произошло, (а буде таковыя послѣдуютъ, то объяснить, какія именно и изъ какою основаніи)

Состоящія нынѣ въ пользованіи крестьянина земли находятся: усадебная въ *такихъ-то* границахъ и полевая *такая-то-столько-то* дней паханья въ *такихъ-то* границахъ, *такая-то-столько-то* въ *такихъ-то* границахъ (описать границы земельныхъ участковъ крестьянина рубежами, урочищами и другими признаками наиболее наглядными, отдѣляющими его земли отъ земель другихъ сосѣдей его).—

2.) *Такому-то* усадебной земли *столько-то* и полевой *такая-то-столько-то* и т. д. (изложить все тѣ свѣдѣнія о земляхъ и угодьяхъ и въ томъ порядкѣ, какъ изложено у

перваго и такимъ образомъ описать земли и угодья состоящія въ пользованіи каждаго крестьянина на основаніи уставной грамоты и послѣдовавшихъ послѣ утвержденія оной перемѣнъ въ составѣ и количествѣ надѣла, если таковыя были.)—

Описанныя выше земли и угодья крестьянъ сняты на планъ при семъ прилагаемый (въ подлинникъ, или въ засвидѣтельствованной копіи съ онаго.)

За пользованіе сими землями положены съ крестьянъ повинности, какъ за усадебныя такъ и полевая, денежнымъ оброкомъ,—(если повинность назначена денежная и за полевой надѣлъ), котораго со всѣхъ въ совокупности *столькихъ-то* дымовъ причитается за усадебныя земли *столько-то* и за полевая *такая-то-столько-то* и *такая-то-столько-то* въ годъ

и л и

За пользованіе сими землями положены повинности: за усадебныя денежнымъ оброкомъ, котораго совсѣхъ въ совокупности *столькихъ-то* дымовъ причитается въ годъ *столько-то*, а за полевая повинность назначена земными произведеніями *такая-то*.

Желя чтобы пріобрѣтеніе въ собственность вышеописанныхъ земель и угодій было для крестьянъ обязательно и соглашаясь съ своей стороны подчиниться вполнѣ правиламъ, установленнымъ статьею 19 Наказа по выкупной операциі, прошу Васъ, Г. Мировой Посредникъ, предъявить это мое требованіе по име-

\*) Примѣч. Крестьянское общество обязано въ теченіи мѣсяца со дня предъявленія ему требованія помѣщика о выкупѣ составить приговоръ (поставленный всѣми крестьянами, имѣющими право участвовать въ сходѣ) о размѣрѣ земель, которыя крестьянскіе дымы, составляющіе крестьянское общество, желаютъ пріобрѣсти въ собственность; при этомъ пріобрѣтаемый мадѣлъ не можетъ быть уменьшенъ ниже размѣровъ указанныхъ въ 1-мъ пунктѣ ст. 37 Наказа. Если въ указанный мѣсячный срокъ крестьяне не представятъ Мировому Посреднику означеннаго приговора, то требованіе помѣщика о выкупѣ получаетъ дальнѣйшій ходъ установленны мъ порядкомъ и пріобрѣтеніе крестьянами посредствомъ выкупа подлежитъ весь надѣлъ, состоящій въ постоянномъ ихъ пользованіи за исключеніемъ частей онаго, означенныхъ въ ст. 14 (см. п. 1 и 3 стат. 81-ой Наказа).—



нованному крестьянскому обществу \*) и въ дальнѣйшемъ поступить на основаніи 81 статьи того же Наказа по выкупной операціи. При семъ прилагая копію съ уставной грамоты, имѣю честь заявить что это мое имѣніе свободно отъ залога (если дѣйствительно нигдѣ не заложено), и ли что имѣніе это заложено въ Закавказскій Приказъ общественнаго Призрѣнія, или такому-то частному лицу въ такой-то суммѣ. Подпись владѣльца и удостовѣреніе подписи (по ст. 66 и 74).

Примѣч. 1) Если объявленіе подписано или подано не самимъ владѣльцемъ а уполномоченнымъ, то послѣдній долженъ представить законную довѣренность.

2.) Заявленіе владѣльца о томъ, какого достоинства государственные пятипроцентные банковые билеты, или свидетельства оны желаетъ получить, можетъ быть приложено при объявленіи, или же представлено прямо отъ себя въ Губернское Присутствіе (ст. 76 Наказа.)

**არა ოპიციონალური ნაწილი.**

**საოჯახო ცნობები.**

რუსული საღონისა (ანუ ლორი) ძროხისა ანუ ხარის ხორცს ძელები ამოართვით. მრთ ფუთს ხორცსა ხუთი ან ათი გირვანქა მარილი და გირვანქის მეოთხედი გეარჯილა ცუფა.— ესენი უნდა დანაყოთ წმინდათ და ამითი გლეხს ხორცსა, მერე კასრის ძირში მოაყრიან მარილს და გეარჯილას, დაწყობენ ხორც ერთ რიგს მარილსა, და მარილთან დანაყოლს პილბილს, კაქას, მიხაკს დარიხინს, ღვისი კანკრას და დაფნის ფოთოლს.—მერე გინდა შექვიდეთ და ისე გახმეთ, გინდა უბოლოეთ.—

ღამბურლის ლორი. უკანა ფეხები, ბეჭები ხარისა, ანუ ძროხისა კარგათ სუქანი უნდა ყოს, ან ბებრის ხარისა არ იყოს; ამას ძელები

ამოაცალეთ გეარჯილებიდან, ქონი ამოიღეთ.— რამდენიც ხორცი სქლათ იქნება მოკრილი, ისე უფრო კარგათ შეინახება. მინემ დამარილებდეთ, მოამზადეთ კარგი თეთრი წმინდათ დაფუქული მარილი და გეარჯილა. ოთხ მუჟა მარილს ერთი ლოტი, ანუ სამი მისხალი გეარჯილა უნდა; ამ მარილით და გეარჯილათი გახხეთ ხორცი კარგათ, ამდენი უნდა ხეხეთ, რომ ხორცი მშრალი გახდეს.—მერე ბოქაში, სადაც გინდა ჩასდეთ, ოცდა ათი თავი მიხაკი ჩაყარეთ, რამდენიმე დაფნის ფოთოლი და იასამანი ბალისა, ჩაწყვიეთ კარგათ, ყოველ რიგ ხორცსა მასალა მოაყარეთ, პილბილი, ჯავზი, მიხაკი და სხვანი. შური უგდეთ, რომ ხორცს და ხორც შუა ცარიელი ალაგი არ დაგრჩეს.—ღახურეთ ბოქკას, გადაფარეთ,—სამი კვირა ასე იდგეს; ყოველდღე ხან ერთ თავზედ, ხან მეორეზედ გადმოაბურუნებდეთ.—სამ კვირზედ მხოლოდ იქნება.

2.) მრთ ფუთს ხორცს უყავით თექვსმეტი მისხალი გეარჯილა, ათი მისხალი შაქარი დანაყოლი, სამი გირვანქა მარილი, ღვისის კანკრა გირვანქის მეოთხედი, დაფნის ფოთოლი დანაყოლი ერთი ჩარეკი გირვანქისა, ანგლითური პილბილი ექვსი მისხალი. ამ მასალას ერთათ აურეეთ გარდა პილბილისა, ჩაწყვიეთ რიგრიგდ ხორცი და ეს მასალა, პილბილი მოაყარეთ.—

- სამ ფუთს ხორცსა უნდა:
- მარილი—ათი გირვანქა.
- გეარჯილა—თორმეტი მისხალი.
- პილბილი—თორმეტი მისხალი.
- ღვისის კანკრა—ნახევარ გირვანქა.
- დაფნის ფოთოლი—ერთი ჩეთეგირი გირვანქა.
- მიხაკი—ორი მისხალი.

ჯავზი, ან იმისი ყვავილი—ერთი მისხალი.  
 მს მასალა დანაყოთ, აურეეთ და ამ ხორცს მოაყარეთ კარგათ, ჩადვეთ კასრში.—ძღუღეთ წყალი, გააციეთ და დასხით.—

ამერიკული დამარილება. ოთხი გირვანქა მარილი მესამედ გირვანქისა გეარჯილა, რვა გირვანქა შაქარი;—ესენი გახხენ სამ თუნგს წყალში და დასხი ეს წვენი ხორცსა ძროხისას ან ხარისას, რომელიც იქნება მომზადებული როგორც ზემოთ სწერია.—ხორცი გამოვა წითელი რბილი და ნათელი.—

2.) მრთ ფუთს ხორცსა, ასოგებათ დაჭირის სამი გირვანქა მარილი, ექვსი მისხალი გეარ-

ჯილა, ექვსი მისხალი შაქარი. ამით გახხეთ ხორცსა; მერე მოიღეთ დაფნის ფოთოლი, ორი მისხალი დაუნაყადი პილბილი, სამი მისხალი ღვისი კანკრა, და ესენი მოაყარეთ ხორცსა. მერე მოიღეთ ორი მისხალი დარიხინი, ორი მისხალი მიხაკი, ბადიანი ორი მისხალი, ესენი წყალში მოხარშეთ და დასხით ხორცსა. სიეს ალაგს დადგით; ერთ თვეს უკან იხმარეთ.

შრანციულად დამარილება ხორცისა. მარილი გახხენი წყალში რამდენიც საჭირო არის, შეთედი მარილისა გეარჯილა უყავით. როდესაც გეარჯილა გაისხნება წყალში, შინ ამ წყალში ჩაწყვიეთ ხორცი და ხარშეთ ნელა ნელა, რამდენიმე საათი.—მერე ოცდა ოთხი საათი ღიდ კომლში დაჭვიდეთ, ეს ხორცი; რამბურსის დამარილებულის ხორცის გემოს მიიღებს.—

დამარილება ბულიონით. სამ ფუთ ხორცისათვის საჭირო არის ათი გირვანქა მარილი. მრთი ჩეთეგირი გეარჯილა;—გეარჯილა დანაყოთ, აურიეთ მარილში, ამითი გახხეთ ხორცი, ასოგებათ დაჭირი.—წმინდა კასრში მოაყარეთ მარილი მსხვილად დანაყოლი, პილბილი, კაქა, მიხაკი, დარიხინი, ღვისის კანკრა, დაფნის ფოთოლი და წელილად დაჭირილი ქარხალი. ხორცი ჩადვეთ როგორგათ და ეს მარილი დააყარეთ; ასე რომ ჩაწყვიეთ, დახურეთ კასრს თავი, დადეთ ქვა; ერთ დღეს და დამეს ასე იყოს.—მერე მოხარშეთ ხორცი, კარგათ წვენი რომ გამოიღოს, გააციეთ და დასხით კასრსა, ისევე თავი დახურეთ და ქვა დადეთ.

დამარილება საქონლის ენებისა. მრთ ფუთ საქონლის ენებს, სამი გირვანქა მარილი, სამი მისხალი გეარჯილა აურეეთ ერთმანეთში, გახხეთ ენები ამ მარილითა, მერე ჩაწყვიეთ კასრში, თორმეტი დღე ისე იყოს; ამავე მარილ წყალში გარეცხეთ, მაღლა შექვიდეთ, რომ გაშრეს; ექვსი დღე კომლში შექვიდეთ. მესტფალური კომლში გამოყვანილი ხორცი. ძარგს სუქანს ხორცს დასკრიან ასოგებათ ასე, რომ ხუთიდან რვა გირვანქამდის გამოიღოდეს; ყოველი ასო გახხეთ კარგის თეთრის მარილით, რომელსაც ჰქონდეს ცოტა რამე გეარჯილა.—ძარში ჩააწყობენ და ათი დღე მარანში უნდა იდგეს და ხანდისხანი ისე მარილი მოაყარეთ ხორცს გეარჯილას რომა მარილი კარგათ გაუჯდეს.—მოაყარეთ ხორცს

\*) Примѣч. Помѣщикъ въ правѣ требовать отъ крестьянъ, чтобы они приобрѣли предоставленный имъ земельный надѣлъ, но по такому требованію помѣщика обязывается къ приобретенію земельного дѣла дѣло крестьянское общество или всѣ крестьянскіе дѣла въ совокупности. Число сихъ дѣловъ должно быть не менѣе пяти, надѣленныхъ ли томъ, по уставной грамотѣ, отъ помѣщика усобиною и полевою землею не ниже размѣровъ, установленныхъ въ ст. 37 Наказа.— (см. ст. 6 и примѣч. къ ней)

ქატო, ანუ ზვე, პარკები შეკრეთ გასახვევი ქალღმერთისა და შეკვიდეთ კომპოში, ასე რომ ახლო არ იყოს ცეცხლთან, კომპო ცივად ხელმეორდეს. მქესი კვირა, ან ერთი თვე დღე-ღამე ასე კომპოში უნდა ყვიდოს, მერე ამოიღეთ პარკიდან, მერე დაკვიდეთ ცივს ქართან ალაგს და მასუენ ბოჭკაში შეინახეთ.—ჰოველთის როცა ბოლში გინდათ გამოყვანა ხორცისა, როცა საქონელი დაჰკლან, მაშინვე უნდა დაამარილოთ, ვინემ ხორცი გაცივდება.

ამერიკული მარილ-წყალი ღორებისათვის.  
 1.) მთხი გირვანქა მოხარშული წყალში და გამშრალი მარილი, გირვანქა ნახევარი შაქარი, თორმეტი მისხალი გვარჯილა, ჩვიდმეტი ჯამი წყალი ერთთ მოხარშეთ, ქაფი ხადეთ. ამ მარილ-წყალში უცხოთ რბილდება ხორცი.—არც წყხდება, მაგრამ მანამ ამ წვეწვს დასახმთ ხორცსა, თუ რომ ცხელი დღე არის, სისხლი უნდა გამოუწუროთ ხორცსა, და კარგათ განხმთ მარილითა, მერე წვეწვი გაცივებული დასახთ. მთუ ახალი ღორის ხორცი, ორი კვირა უნდა იდვას ამ მარილ-წყალში.—მს წვეწვი ორჯელ სამჯერ იხმარება, მხოლოდ დაუშუდეთ მარილი, წამოადუღეთ და ქაფი მოხადეთ.

2.) წამოადუღეთ ოთხი გირვანქა მარილი, ნახევარი გირვანქა გვარჯილა, ოთხი გირვანქა შაქარი, ან თაფლ-წყალი, თუნგ-ნახევარი წყალი. მს წვეწვი თევზისათვის კარგია.—ბოჭკაში დაამარილეთ თევზი და ეს დასახმთ და ისე შეინახეთ.—

3. გვარჯილის წვეწვი. თორმეტი მისხალი გვარჯილა, ერთი გირვანქა მარილი, ოთხი ჯამი წყალი ააღუღეთ და ცივი დასხით ხორცსა, რომელიც უნდა იყოს მარილით განხებილი.—ამ მარილ-წყალში, რამდენიმე თვე ინახება კარგათ.—ღორათ თუ გინდათ ორი კვირის მეტი არ უნდა იყოს ამ წვეწვიში.—მთელი ორი ბებერი არ არის, ხუთი დღე ცყოფა.—მს წვეწვი რამდენჯერმე გააოღდება. მხოლოდ წამოადუღება უნდა და ქაფის მოხდა.

ს ა ქ ო ნ ლ ი ს ხ ნ ი ე რ ო ბ ი ს შ ე ს ა ტ ყ ო ბ ი ნ ი შ ნ ე ბ ი .

ხნიერობის სწორედ შესატყობად არიან ესენი: 1) სარძეო წინა კბილები და მერე ამათ რომ შესცვლიან, საშუალო, 2) რქების ძირში რგოლის მსგავსი ქლები და 3) ზოგიერთი ტანის ნიშნები.

როდესაც კბილებზე უნდა ხნიერობისა, შეტყობა მაშინ უშინჯავენ მხოლოდ წინა რვა კბილს ქვეითა ყბისას, და უკანა კბილებს კი მაგდენი გაშინჯვა არ უნდა. ხბოს დაჰყვება მოგებდღანე რვა წინა სარძეო კბილი; ორ წინა სარძეო კბილს იცვლის წელიწად ნახევარიდგან ორ წლამდე, რომელნიც სამი, ოთხი კვირის შემდეგ დაჩოჩილთ სა-

რძეო კბილებზე დიდრონიც არიან და ერჩევიან იმათ სიგანითა. ამ კბილებს ეძახიან ნაფოტა კბილებსა. ამ დროს ამბობენ ორი ნაფოტა კბილი აქვსო. მრი წლიდგან, ორ წელიწად ნახევრამდინ კიდევ ორ სარძეო კბილს იცვლის, კბილების დაცვლა ამ რიგათ მოახდება: ჯერ შუა ორი კბილი დაეცვლება შემდგომ ორი იმათ გვერდებზე და სხე. მერე მესამე წლამდინ კიდევ ორ შემდეგ სარძეო კბილებს იცვლის და ამდროს აქვს ექვსი ნაფოტა კბილი. დანარჩომს ორს გვერდების სარძეო კბილებს შეიცვლის ცხოველი სამ ნახევარიდგან ოთხს წლამდე, და შეექმნება რვა უცვლელი კბილი ქვეითა ყბისა.

ძბილების ცვლისა და ამოსვლის დროს საქონელს მოჰდის სხვა და სხვა ავთამყოფობა თავბრუტის ხვევა, პირის სიფიცხე, დორბლის დენა, სახდოს მოუწევებლობა, კანკალი და სხ.; ზოგჯერ ამასთანავე მოსდით ანთება ტვინისა და თვალებისა. მს ავთამყოფობანი საშინი არიან პირველსა და უკანასკნელს კბილების ცვლის დროს. ზოგიერთს პირუტყვის კბილების ცვლის დროს არც ერთი ავთამყოფობა არ მოსდის; ამ გვარი საქონელი დიდს ხანსა ცოცხლობს. ჯინშიანი ძროხა კბილებს უფრო ადვილად იცვლის, ვიდრე ჯინს ნარჩევი.

ხუთს წლამდინ ადვალთა საქონლის ხნიერობის შეტყობა კბილების გასინჯვითა, მაგრამ ამას შემდეგ კი ძალიან ძნელია, ამიტომ რომ არ არის საკმაო ნიშნები კბილებზედ, რომლებზედაც დაფუძნოს კაცმა თავის დაკვირება.

ზოგი უყურებს წინა კბილების სიჭრელსა და ამითი ამცნევენ ძროხას წლოვანობასა: ყველამ იცის, რომ ახალი წინა კბილი მჭერარის და მერე რამდენიც ხანი გადის, იმდენი ილცება, ცვდება და პატარა ჰხდება. პირველად ცვდება ორი შუალაგა წინა კბილა,—ეს არის მეექვსე წელიწადს; მერე იმის შემდეგი ორი იწყებს ცვეთას მეშვიდე წელიწადსა, შემდეგი ორიც მერევე წელსა და ბოლოს ორი მეცხრე წელიწადსა. ამ ნიშნებით მიახლოებით შეიძლება შეტყობა ძროხის ხნიერობისა მეცხრე წლამდე. მაგრამ რადგანაც ქვეითა წინა კბილები ცხეხებიან ზეითა ღრძილებსა, რომელიც მაგდენად არა სცევთ კბილებსა, ამიტომ ქვეითა კბილები ცვდებიან მხოლოდ გარეშე მიზნებისაგან, რომელნიც სხვა და სხვა ხასიათისანი არიან: ე. ი. კბილები ცვდება საქმლისაგან,

რომელზედაც დგას საქონელი. ძალიან რადგანაც ხან მაგარია და ხან რბილი, ამიტომ კბილს ხან ძალიანა სცევთავს, ხან ცოტად.

ცვეთისაგან წინა კბილები პატარაედებიან და ამისგანმო ერთმანერთზე მოშორებითა სხედან; ხანდისხან კბილები ფანფულენ და ცვივიან და მაშინ კბილების სიშორე ერთმანერთიდან ამტკიცებს საქონლის სიბერესა.

ამ საქულების გარდა, ფურის წლოვანობა შეიძლება შეიტყოს კაცმა რქებზედ ქლებითა მს ქლები ვსდება რქის ძირებში. შურს უფრო ეტყობა ქლები; ხარსა და ბულას კი ძალიან თხელი და იშვიათი აქვსთ, ასე რომ ძლიერ ეტყობათ. პირველ შობის შემდეგ ფურე ეტყობება რქაზე პირველი ქდე, მორე ხბო შემდეგ მორე ქდე, რომელიც პირველა ქდე ზეით ეწევა და თითონ რქის ძირში რჩება მთუ ფური იგებს თანასწორ დროს განმავლობაში, მაშინ ქდეებიც ერთმანერთზე სწორეთ არიან განშორებულნი. როდესაც ხბო უღროგოთ მოიგებს, ანუ გაბერულდება მაშინ ქდეც არ არის სრული და ძლიერაც სხან ამიტომ ქდეები რქებზედ აჩვენებენ ხბოებნი რიქსსა და არა წლოვანობასა. ზოგიერთ მხარეში ფურები ადრე მაკდებიან და ადრე იგებენ ხბოსა, ვიდრე სხვა მხარეში; ეს არა მიზეზი, რომ ერთ წლოვან ფურებს ზოგ ბევრი ქდე აქვსთ და ზოგს ცოტა. სხვა სხულის ნიშნები, რომლითაც ატყობენ წლოვანობასა, როგორც მაგალითებრ რქების სგრძე, ხაზები სქესის ორგანზედ, ქალარა ბლანი და სხ. ვერ არიან საფუძელიანი. მარამისა საქონლის გამსყიდველები ცდილობენ, რომ შეშალონ ის ნიშნები, რომლებით შეიძლება პირველის შესხვევითვე შეიტყონ ხნიერობა და იმიტომ რქებზედ რგოლს უქლიბავენ და ქალარა ბლანსაც უღებენ.

ნ ი შ ნ ე ბ ი , რ ო მ ლ ი თ ა ც შ ე ი ტ ყ ბ ა რ ძ ი ა ნ ი ა ფ უ რ ი თ უ ა რ ა .

შურსა რაცხვენ რძიანად, როდესაც ჯინანობის გარდა მთელი ტანი აქვს ნაში და ქალური აგებულებისა; როდესაც გრძელი წელი აქვს ზომიერს მოკლე ფეხებზედ, როდესაც თავი პატარა და ვიწრო აქვს, წერილი რქები, წმინდა ტყავიანი სიფრიფანა ყურები, ტიტველთ ქუთუთუები, ნაზი ცხვირი,—წვილი, გცილი და ძირს დახრილი კისერი; როდესაც სწორე ანუ ცოტად აწუტილი წელი

აქეს, მკრე ხერხემალი, გრძელი და წმინდა კული, რომელზედაც ყოველი ხერხემალი შეიძლება გაიზივს თვლითა; დიდი, განიერი მუცელი, გავრცელებული სქესის ორგანები, განიერი გავა დიდრონი კუბაჩოს ძვლებითა, უკან გაწეული ბარკლები, სუბუქი უკანა ფეხები, თხელი ტყავი და თხელი წმინდა და გრძელი ბალანი, რომელიც უწყვიტა ტანზე; თუ ამასთან ყოველთვის მადიანად ჰსკამს, და კარგი საქმლის დროს რჩება თითქო მშვიერი, ფერდებ ჩაცვიენილი. შურსა რაცხვენ ცოტა რძიანად, როდესაც ტანის აგებულება აქეს ჩასხმული, მკვიდრი, არის მსუქანი, მიძიმე და პირველის შეხედვით ჰგავს უფრო ხარსა ვიდრე ფურსა; როდესაც აქეს სქელი, მიძიმე და დიდი თავი, დიდორნი რქები, ბტკელი სწორე შუბლი, უჯინშო, სქელი ყურები, განიერი ცხვირი, ბალნიანი ტუჩები, მოკლე, მსხვილი და ღონიერი კისერი, მოკლე წელის ხერხემალი, მრგვალი ტანი, მცირედ გავრცელებული სქესის ორგანოები, მაგარი ფეხები, სქელი ტყავი, სქელი ბალანი, გივი სახისა; როდესაც ჰსკამს მცირედის მადითა, და მალე სუქდება, უგულოდ მკადება.

ეს ყოველი ნიშნები ერთად თუმცა აჩვენებენ ფურის რძიანობას და ურძობას, მაგრამ კაცს უნდა ჰქონდეს ჯგროვანი გამოცდილება, რომ ესენი მოიხმაროს, ანუ ამ ნიშნებით შეატყოს. მოხდება ხოლმე, რომ ფურსა აქეს ყოველი კარგი ნიშნები რძიანობისა, მაგრამ მაინც რძეს ბლომად არ იძლევა, ჰსჩანს რომ ეს ნიშნები არ არიან მკვიდრნი, ბეჯითი. ზარდა ამისა ეს ნიშნები არიან მხოლოდ შესატყობად რძის სიბევრისათვის, და ამითი ვერ შეატყობენ ან როგორი რძე ექმნებათ, ანუ რამოდენს ხანს მოიწყვილოს.

ამ რამდენიმე წლის უწინ ფრანცუზმა ბენონამ იპოვა ერთი კარგი საშუალება, რომლითაც შეიძლება შეტყობა რძის სიბლომე და სიკეთეცა. ეს საშუალება რამდენიმეჯერ გამოცადეს, ასე რომ ბენონი დარწმუნებულია ამ საშუალების სრულებით ბეჯითობაზე. მერმანაშის და სხვა სახელმწიფოებში გამოჩნდნენ ბენონი ქიმაგნი ბენონის საშუალებისა, რომელიც ყოველთვის ხმარობდნენ ამ საშუალებას ფურის რძიანობის შეტყობისათვის და ახლაც იმასვე ხმარობენ. ეს საშუალება არის არა, რომ უყურებენ ბეწვებს, რომელიც სქესის ორგ-

ნებიდან დაწყებული მიდის ქიამდე და მერე უხვევს ფერდიდან უკანა გასალამდინ; ისინი წარმოადგენენ სხვა და სხვა გეარ ხაზებსა და სახესა. ბენონი ამბობს, რომ ეს სხვა და სხვა ნაირი ბალნის ხაზები, რომელსაც ეძახის რძის სარკესა, არიან დამოკიდებულნი რძის ორგანებზედ, და იმათი საშუალებით შეიძლება შეტყობა რძის ორგანები კარგათ არის აგებული თუ არაო. ზარდა ამისა, ჯენონი ამბობს, რძის სარკის სიგრეც არის შეკავშირებული ცურის სიგრეცთან და მონაწველს რძისთანაო. რძიანობა ფურს ეტყობა რძის სარკის ბეწვის აგებულებაზე, ასე რომ რომელ ფურსაც რძის სარკეზედ ბეწვი წმინდა და რბილი აქეს,—ის კარგა მოაწველის, და რომელსაც ხმელი და ჯგარის მსგავსი,—ის ცოტასაო. რძის სარკის სიგრეც სხვა და სხვა ფურს სხვა გეარი აქეს; ამ განსხვავებაზედ არის დაფუძნებული ბენონის საშუალების განყოფილება ფურებისა რვა კლასად, რომელიც აგრეთვე იყოფებიან კიდევ რვა—რედ. ზარდა ამისა რადგანაც რძიანობა ფურისა არის დამოკიდებული საქმელზედ, ასე რომ ერთ ნაირი რძის სარკიანი ფურები, თუ სხვა და სხვა გეარად იკებებიან, მაშინ რძესაც ერთგვარად არ აძლევენ; ამიტომ ფურის რძიანობის გაზინჯვაში უნდა ექონდეთ მხედველობაში საქმელი, რომლითაც იკებება ფური. მქესი თვის ხბოს ეტყობა რძის სარკის დაწყობა, და წლისას და წლინახევრიან ძროხებს კი ისე ეტყობათ, რომ შეიძლება გაზინჯვაში მიიღონ ნიშნად; რძის სარკე ერცელდება განსაკუთრებით პირველი დამაკების და მოგების შემდეგ; მეორე სიმაკეში კი ისევე პატარაედება; და მესამე მოგების შემდეგ, როდესაც ფური უფრო რძიანი არის, ვიდრე სხვა დროსა, რძის სარკე ზრდა დასრულდება. ბებერს ფურს სარკე უპატარაედება, რომელიც ეთანხმება რძის დაცოტავენასა. რძის სარკე ბუღებსაც უნათ, თუმცა ბევრათ პატარა აქეთ, ვიდრე ფურებსა, მაგრამ როდესაც სახე სარკისა და სიგრეც კარგი აქეს, მაშინ ამბობენ, რომ ბუღე კარგი ვერშისა არისო და კარგი რძიან ნაყოფსაც მისცემს ფურსაო. ბუღებს რძის სარკე ეწყობათ პარკიდგანა და ბოლოედებიან უკანა გასასვლელითა.

რძიანობის მეტნაკლებობის საფუძვლად არის რძის სარკის სიპატარაე და სი-

დიდე, რომელიც არის დამოკიდებული რძის ორგანებზედ. რძის სარკე თავდება ჩაგრისათ მდღერის ორგანზე და პარკზედ. ბენონ ამბობს, რომ ის ფური ბებერს რძეს იძლევა, რომელსაც რძის სარკეზედ თხელი და წმინდა ბეწვი აქესო და თუ ტყავი ბარკლებს შეინათა მზრიდან კულამდე ყვითელი აქესო; ამასთან თუ ტყავზედ ყვითელი და სუქარი ჰუჭუცი ედებაო. რომელ ფურსაც რძის სარკის ბეწვი აქეს გავრცელებული კულის ფორამედ და ყვითელი ჰუჭუცი ედებათ, იძლევა კარგსა და მსუქანს რძესა, მაგრამ ცოტასა. ჰოვლი ფური, რომელსაც ტყავი სარკეზედ თითონ და ტიტველი აქესთ, და ამასთან დედალ ორგანზედ ეზღებათ უჯინშო ხმელი ბეწვი და ბეწვის რგოლებსაც აქესთ კულთანა, იძლევა კულდა და წყალ-წყალა რძესა.

ახლა ესთქათ კარგა ფურმა რამოდენი და რამდენს ხანს უნდა მოიწყვილოს.

პარგმა ფურმა უნდა იწყელოს ორას ორმოცდა ათი დღიდან სამას დღემდინ და იძლოდეს ასიდან ათას სუთას ჩარეკამდე. მაგრამ რძის სიბევრე დამოკიდებულია ვინზედ, ხნირობაზე, საქმელზე და სხვა მიზეზებზედ; ზოგი ერთი ფური, როგორც რუსული; ბებერს არ იწყელოს, ასე რომ წელიწადში ოცდა ათი, ანუ ორმოცი ვირკანქა ვრბო რომ მისცენ იმაზედც კმაყოფილნი არიან,—და ზოგი კი, როგორც ბოლონდისისა და შვეიცარიის იწყელოს ორი ათასიდან სამი ათას შტოფამდე, ასე რომ წელიწადში იღებენ სუთს, ექვსს, შვილსა და უფრო მეტ ფუთსაც ვრბოსა. შურინი პირველი მოგების შემდეგ არას დროს არ იძლევიან ბენონს რძესა; ყველაზე ბევს რძეს იძლევიან მესამე მოგების შემდეგ; ეს სიბევრე რძისა მიხედვს მეექვსე მეშვიდე წლამდე ერთგვარად და მერე კი ისევ იკლებს. დიდხანს ბევრი რძის მიღებისათვის ზოგმა მოიგონა საშუალება, რომ მესამე ხბოს შემდეგ ფური უნდა დაყვიროს და მერე წველოს იქამდე, ვიდრე დაიკლებსო; კლებამდე გაღის სამი წელიწადი. მაგრამ ვინც გამოსცადა ეს საშუალება, ნახს, რომ დაყვირის შემდეგ ფური ერთი წლის შემდეგ სუქდებაო და რძის კი იკლებდა, ასე რომ ფურის დაკლდა არ არის სასარგებლო. პარგმა საქმლით შეიძლება კული ფურიც გახადონ კარგი მწყველი და კულის საქმლით კარგი ფურიც ვერ იწყელოს ბლომად. ავთ-მყოფობას, კულ მოვლას, უპატერობას და კულდ ამინდს აქეს დიდი გავლენა რძიანობაზედ, ასე რომ ანევიდ რძის სიბევრესაცა და სიკეთესაცა. ბევი წველის დრო სხვა და სხვა ფურს აქეს სხვა გეარი; ზოგი ბებერს იწყელოს ექვსი კვირის განმავლობაში, ზოგი ერთი წლის განმავლობაში. ზოგი ფური იძლევა რვა ჩარეკამდე და ზოგი თორმეტამდე. ზოგი ფური ყოველთვის ერთ გეარად იწყელება, ვიდრე სრულებით არ შესწყდება.

**შინაური ამბები**

ტიფლისში გაიხსნა ნომერის 8-სა საქალაქო სამკურნალო, რომელშიაც არის 200

ავთომყოფისათვის ადგილი. ამით რიცხვში იქნებიან 24 გვიგების დასაწალი ადგილები (გონებით ავთომყოფებისა), 4 მელიოგინისა გამოსაცდელად. ზარდა ამის ეს სამკურნალო ამით არის შესანიშნავი, რომ აქ იქმნება ფერწლების სასწავლებლები, რომელთა უსწავლელობაზედ ახლა ძველში ბევრი ანდაზები დადის. აქვე დარჩებიან ყოველი კურს დასრულებული ჰაქიმი ორის წლის განმავლობაში, რომ გამოცადოს ავთომყოფზე თავისი სწავლა და ისე შეუდგეს თავის დიდ საქმესა.

**მ დ ე ს ა შ ი გ ა მ ო უ ე ნ ი ს მ ო ლ ო დ ი ნ ი.** „მდესის მოამბიდგანა“ სიხანს, რომ სამხრეთის რუსეთის სოფლის სახლოსნობის კრებას მიუღია სასარგებლოდ გახსნას **მ დ ე ს ა შ ი**, გამოსაცდელად, ექსის წლის განმავლობაში, ორ წელიწადში ერთხელ, გამოაფენანი, ყოველი სოფლის სახლოსნობისა და ზოადის ნიეთებისანი მთელი სამხრეთის რუსეთისათვის. რადგანაც **მ დ ე ს ა** არის შუაგული სამხრეთის მხრის ეპრობისა და ხელოსნობისა, ამიტომ აქ მოაქვთ ყოველი კარგი ნიეთი სოფლის სახლოსნობის და ზოადში გაკეთებული; აგრეთვე აქ იყრებიან თავი და თავი მომხმარებლები სამხრეთის რუსეთისა. აქვე არის პირველი ეპრობა ჩვენის საქონლისა სამძღვარს ვარეთ გასატანად. ამიტომ აქ უნდა აცნობონ ეპრობის წარმომდგენლებს სამხრეთის რუსეთის გამოსავლის ნიეთები. ამ აზრის ასასრულებლად კრებამ მიმართა ნოეოროსის თემთა, რომელმაც ეს ამბავი დიდის სიამოვნებით მიიღო და დაპირდა თანამგონობელობას. ხერსონის კრებამ გადასწყვიტა თავის სხდომაში 1866 წ., რომ ამ საენისათვის გადასდონ ყოველ წელიწადში 500 მ. რადგანაც გამოაფენა გაიხსნება ორ წელიწადში ერთხელ, ამიტომ მართა ხერსონიდან იქმნება შეწყენა ყოველი გახსნისათვის 1000; და მთელი ნოეოროსის მხარის მონაწილეობით ეს სუმი გაიზღება 4060 მ.—მდ, რომელიც სრულებით საქმა არის პირველი დაწყებისათვის.

**ა ბ რ ე შ უ მ ი ს ა მ ო ს ა ხ ე ე ე ი ს გ ა მ ო რ თ ე ა ლ ა ნ კ ო რ ა ნ შ ი.** მზნეთში „Кавказ“ სწერენ ლანკორანიდან, რომ წლიწადდელს გაზაფხულზე მოსული იქ ერთი იტალიელი, სახელად მერსი იმ აზრით, რომ გამართოს ლენქორანიში აბრეშუმის გამოსახვევი, როგორც მერაპაში არის. ეს საქმე პირველად

ვერნათ ვერ მოხერხდებოა, რადგანაც იქ არ არიან იმ ვარი მუშები, რომელთაც შეეძლოთ მოხმარება ამ საქმეში. მაგრამ უფ. ზერზიმ იელისში გამართა ამოსახვევი და დაწყდა ამოხვევა რვა ჩარხზედ; აბრეშუმს იღებდა ძლიან წმინდასა და თანასწორესა. მხოლოდ პარტი ძლიან ცოტა იყო, რომელსაც ერთი უცხო ქვეყნის კაცი ჰყიდულობდა სათესლეთ ძლიან ძვირად; ამიტომ უფ. ზერზიმ წელს ცოტა აბრეშუმი ამოახვიდა; შემდეგში უნდა მოელოდნენ უკეთესსა. მთელს ძასპის ზღვის პირზე, ლენქორანიდან მოკიდებული რეშტამდე, არ არის ცოტადღენდ მინც ვარგისა ანუ გაუკეთესებული აბრეშუმის გამოსახვევი; ყველგან ახვევენ დიდრონ ჩარხზედაც კულად და უთანასწორად, მაგრა ძასპის ზღვის ნაპირი აბრეშუმი ძლიან მოადის. ზერზის მოუყვანია თნ სამი ამოხვევაში დახელოვნებულნი დედაკაცები, რომელნიც ნელ-ნელა შეჩვევენ იქაურ დედაკაცებს ამ საქმესა და მერე გამოსადევი მუშა. უშოვარი აღარ იქნება.

**ჩ ე ვ ე ნ დ ე ე ლ ს მ ა ე ნ ე ბ ე ლ ს ჩ ე ვ ე უ ლ ე ბ ა ზ ე .**

**მ ო შ უ რ გ მ ი ი.** მე როგორც ეცნობ „დროების“ მოთხრობით გავეთში საკირო არის, ჩვენი სამშობლო ქვეყნის ჩვეულების აღწერა; ამისთვის მე მინდა გაცნობოთ, რამდენიმე ძველი ჩვეულება, რომელიც დღესაც შეურყეველად მოძიარბს ხალხში და მკითხველს უმდაბლესად ესთხოვ ჩემს მოთხრობას ყური დაუგდოს. შთქათ ვისიმე ოჯახში ავით განდა ვინმე. ჯერ ერთი კვირა გავა ისე, რომ ყურადღებასაც არავინ მიაქცევს. შემდეგ ერთის კვირისა თუ მინც და მინც დიდი ბატონთა-დანის (გადამდებს სატიკვარს დიდ ბატონებს განახიან) ვინმე არ არის, ექმის დაუძახებენ, მაგრამ ისიც ვნახოთ, რა ნაირს ექმის უახიან? სოფლის ექმისა, რომელი ამსთანვე მკითხა-ვიც ვახლავთ. ზადის მეორე კვირა. ავთომყოფს თანდა თან აკლდება ჯანი და დონე მომეტებული ანთების გამო სიცხითა და უყურადღებობით, მაგრამ ჯერეთ ენა კიდევ არ წართმევიდა და იმის ჰირისუფალს სრული იმედი აქვს, რომ არა გაუჭირდებარა. შემდეგ ორის კვირის ავთომყოფობისა, პირველ საშუალობათ მიიხიანთ წირებები. ავთომყოფის პა-

ტრონი მიჰმართავს მარჩიელს. მეფეებს კურს გამოცდილს და ნაქებს \*) ლომისს მკრახხასს. მია იმასთან და ავითხენებს ლობიოთი ავთომყოფის მორჩინის თაობაზედ. მელიობი მარჩიელი დაყრის ლობიოს და უჩრქევს, რომ იმათ აწირინონ თხით. მითომ ის ავთომყოფი დაწყველით იყავს ავთ და თუ თხა შეესწირა უსათუოდ მორჩინება; ერთი ამაში იქნება, ანუ ორი ამ მარჩილმა უნდა მიიღოს თავის ლობიოს ქირათ. ავთომყოფის ქირის უფალი დიდის რწმუნებით და სიჩქარით აღასრულებს ამ მარჩიელის ბრძანებას, რომლისათვისაც გადის ხარჯი ოთხი, თუ ხუთი მანეთი თხის ზვარაკში. მაგრამ მეტი თქვენს მტერს ნურა რებოდესრა, როგორათაც ეს იმ ავთომყოფს არას მოხმარებოდეს და ენება იმიით მისცა, რომ ექიმობის დრო დაუკარგა. თხის ზვარაკი რა ვერარას არგებს, შემდეგ მეორე მკითხავთან გუტეფს ავთომყოფის ჰირისუფალი. ამას გაუგონა, რომ იმ მეორემ ხელის გულით იცისო შეტყობა. ისიც მოჰყავთ. მკითხავი დაეცქირჯება ხელის გულზედ ავთომყოფსა, შემდეგ დაფიქრდება და იტყვის, ცხვარი უნდა დაუკლათო. დიდის სიჩქარით ცხვარსაც იმ თხაზედ დააკლენ და თითქმის მთლად მღვდელს მარათმევენ. მსეც არ გამოაღვა მძიმე ავთომყოფს. აქაც გადის უბრალო ხარჯი ხუთი ექვსიოდ მანეთი; ამათთანვე რასაკვირველია, ავთომყოფის მამაც რომ გაიგებენ, ნათესაებები მოვლენ შორიდან სა-

\*) მარჩიელი ეს არის: თუ ლობიოთ არჩებს, აიღებს ხელში რამდენსამე ლობიოს მარცვლს და მიიღებს ტუჩებზედ; ვითომ ვულოცავო (ლობიო ხისავო, გაჩნილო ლვისოა). შემდეგ წუნარათ მოჰყვება და შემდეგ ერთ პატრა ფიცრის ნაჭრებზედ, ანუ რამე საფეხზედ დაჭყრის და იმავ დროს ხელსაც მოაშორებს. რასაკვირველია ლობიო ზოგი ერთთა დარჩება და ზოგი განიხნება მოშორებით იმავ ფიცრებზედ ამ ლობიოს მარცვლებს ყურადღებთ აღდენებს თვალებს, ხოლო პირველის დაწყებისამე დაპარკის კი არ იზღის ოჯახის პატრონთან, რომ ყოველივე გამოიკითხოს; ავთ ვახლამამდის როგორ ყოფილა ავთომყოფი და ყური ამის დაპარკებულ აქვს მიცემული; მხოლოდ შესხნედავთ ოჯახის პატრონისა თვლით ლობიოს უშვარს; და რა რომ ყოველი ესე გამოიკითხა, მერმეთ შეადარებს გაყლილს და მომავალ შემთხვევებს და მართლად დაარწმუნებს საწყალ უფუნფრ ხალხსა. ყოველგვარი მკითხავი რომ ასე მოტყუებით სარგებლობს, მე ნათლათ შევნიშნე.

ნახავთ და ვეღარც მიდიან, ამიტომ რომ ავათ-  
 მყოფი უკანასკნელ დღეშია. ამ სახით ავათ-  
 მყოფის სახლში სხვა და სხვა მხრიდან ქალი  
 და კაცნი მოგროვდებიან ოცამდის და მათშო-  
 რის ეინ რაებს ჩუროჩულობს, იმის გავება ორის  
 ყურის პატრონს კი-არა, ათი ყურის პატრო-  
 ნსაც გაუჭირდება, მხოლოდ მათი პირიველი  
 ზრდგულობითი რჩევა ის არის, რომ ავათ-  
 მყოფის ჭირისუფალს აუჩინონ ეინმე მეთ-  
 ავი ავისულისა. იმოდენა ხალხში ეს სურვი-  
 ლი ჩქარაც აღსრულდება ერთი მეორის წასწრე-  
 ეთ. აღმოაჩენენ ეინლასაც ისეთს, რომ იმა-  
 იან ეს მარჩიელი ერთი ნაცემისაგან შე-  
 აკობს, რა დამართება ავათმყოფსაო. ამასზედ  
 ველანი იქ მყოფნი დასცემენ ბანს, რომ  
 ხლა მორჩა ჩვენი ავათმყოფი, რაკი მაგისთა-  
 მ მარჩიელი გვასწავლა იმ საბატოო კაცთა  
 ა არიან იმის გამოამჩენელის ლოცვაში. ის  
 რამ არაფრათ ჩავარდება, რომ ავათმყოფთან  
 დენი ხალხიც სარჩენათ ზურგზე დააწვა  
 აჯახის პატრონს. გრძელული მარჩიელი აი-  
 ეებს ავათმყოფის ნაქონს რასმე, ეთქვათ  
 ლსახოცს და ერთს ყურს ერთს ხელში და-  
 ერს და მეორე ყურს ხელსახოცისას მეორე  
 ლში. ხელსახოცს ზევით ასწევს და უტქე-  
 ს ასრე ოცი მიწუტი მეტი; უფურებს დიდის  
 ფიქრებით და თან-და-თან გამოიკითხავს  
 ათმყოფის დღევანდლამდის მდგომარეობას.  
 და ბევრი გაეგარძელო, ისიც გაუჩენს, რომ  
 ედღეების კრებას აწირვიანოს. მართი მანეთი  
 თითონ ამ რჩევაში მიაქვს: ოჯახის პატრონი  
 უდგება წირვის თადარიგს. ახლა ის მოიხ-  
 მეთ, თუ როგორ იქცევიან ამ კრებით წი-  
 აში; „კრება“ არის შეიღი მღვდელი, შეი-  
 მთავარ დიაკონი, და თითო მათი მხლე-  
 ელი იმათ თითველად სთხოვენ ავათ-  
 მეს უწირონ ერთ დღეს ყველამ და  
 ეველია ისინიც აღასრულებენ, თუ კი  
 სთანა ბედნიერება ეღირსებთ და იმ  
 იწმულს დღეს ყველანი შეიკრიბებიან  
 თმყოფის სახლში, სადაც თითონ ავათმყო-  
 წევს. საილსაც იქ მიირთმევს ეს  
 და რვა კაცი, სადაც აღის მოხარული  
 ეცილდამ ომზივარი ბოლივით; ამდენი ხა-  
 ის გროვა და ხორცის ომზივარი არა თუ  
 მყოფს მრთელსაც შეუღონებს გულსა;  
 შედ მოპყებებიან სადღევრძელოს ერთი სტა-  
 თ თვითელათ ყველანი იქ, სადაც საწყალ  
 მყოფს სული ებრძვის ამოსავლათ; სა-

დილათ ერთი კარგი დიდი ხარი უნდა იქნეს  
 მიუცილებელი წესია, ის ხარი ეღირება ცო-  
 ტა ვსთქვათ ოცდა ათი მანეთი, რომელიც  
 უნდა განაწილდეს თოთხმეტს ნაწილად. რო-  
 გორც მოხარული ხორცი, აგრეთვე თავი  
 ფეხები გულ-ღვიძლი და ტყავი სრულიად იმ  
 დღეღვების და იმათი მთავარ დიაკვნებისა  
 არის. ამასთან თითო შემწვარი ქათამი და თი-  
 თო კარგი ხაჭაპური, თითო ყველის და-  
 მატებით; ყოველ სხვა-და-სხვა საქმადს გარდა  
 ესეც შინ უნდა წაუღონ იმათ. მხლა გათა-  
 და სადილი! და მღვდლები შინ მიდიან. შნ-  
 და მიართვან მღვდლებს თითო მანეთი, მთა-  
 ვარ დიაკვნებს ათათი შაური და დიაკვნებს  
 თითო აბაზი;—აი კრებით წირვაც ამით თავდე-  
 ბა: რომელზედაც გადის სულ რომ ვიანგარი-  
 შოთ ს ა მ ო ც მანეთამდის; საწყალ ავათმყო-  
 ფს იმა დროს ხმაც აღარა აქვს და ცნობაც  
 დაკარგული აქვს. მაშინ შეიქნება ერთი არე-  
 ულობა; „ეკიმი, ეკიმი!—ერთი ამბობს. ქი-  
 მი ვინ არის და სადღა არის?—მეორე კითხუ-  
 ლობს. ქიმიები რაც კი სადმე იყო ყვე-  
 ლანი მოვიარეთ მესამე ამბობს. შინ ექი-  
 მია, ის მკითხავები!—მეორეზე გაოცებით  
 ამბობს.—პირველი ევასუხება; დიხაც მკითხა-  
 ვები მაშ! ამ დროს მეორე მხრიდან მოისმის  
 ეინლასს ხმა დარცხენილივით: ვაჟო... ლე-  
 კრი... მოვიყვანათ, და იქვე გაოწყვეტს  
 ხმას, ვითომ კაცის კელა ამოსვლიდეს პირი-  
 დამ. ამ ხმაზედ ერთი არეულ დარეული ბა-  
 სია: რამ ვადგარავო, ლეკრი მეკულის და-  
 ლევიწებს და მოპყლავს; ის უცხო კაცია ჩე-  
 ნი კაცია, ქე რა ენადღება.—აჰ!—იქ ერთი  
 მათგანი ამბობს,—მე ისრე ვიცი, რომ ის ლე-  
 კრი უცხო კაცი არ უნდა იყოს, ასრე ვიცი,  
 რომ იმ დღეს ჩემი ნაბატონეისას ენახე და  
 ქართულად ლაპარაკობდა და არც სერთუკი  
 ცმია. იმას ეცევა რალაც შავი სქელი თავისუ-  
 ფალი ტან საცმელი; და თუ ამნაირი დამა-  
 რწმუნებელი ლეთიური ეინმე გამოჩნდება,  
 მაშინ კი ვახდებიან თანახმა ყველა იქ მყოფი,  
 და ჭირისუფალიც ცდილობს, რომ ეინმე  
 ერთი მარჯვე კაცი გაგზავნოს ლეკროთანა და  
 ერთს ეისმე სთხოვოს, სა ჩემო კეთილო  
 ძმია ამ ჩემს ცხენზედ შებძანდი და რაც ძა-  
 ლი და ღონე გქონდეს, ნუ დაწოვავ ცხენს,  
 მხოლოდ ლეკრი მოვიყვანე საჩქაროთ. რასა-  
 ლეკრისკენ და როცა ლეკროთ მიდის ისრე

დალაღულია, რომ საპასუხოთ ხმის ვმოღება  
 უქირს. იქმება იმადროს ლეკრი სა-სადათ  
 ზის, ან ეახშმათ, ან სულ ღამე არის და სძი-  
 ნავს. მიმსვლელისთვის სულერთია. ასწევს  
 თავს და დაუკითხავთ ლეკრის სახლში შე-  
 ზის, თუ მართლა უცხო კაცი არ არის და  
 ქართველია ლეკრი. ამ უცარ შეგვალაზედ  
 თუ შეჩვეული არ არის ლეკრი, ძლიერ შეკ-  
 რთება. მაგრამ მიმსვლელი მაინც თავისას  
 ეუბნება; ლეკრი ჰკითხავს უთუოთ იმის მისე-  
 ლის მიზეზს და მიმსვლელიც აუწყებს. შემ-  
 დგე ლეკრი ავათმყოფის გარემოებას გამოი-  
 კითხავს და მიმსვლელი რალაც არეულად მი-  
 უვებს. მქვი არ არის, სოფლის უფურმა ან  
 კი რა უნდა იცოდეს; ის მხოლოდ ამას დაუ-  
 მატებს, თუ არ დაჩქარდი, ბატონო ეკიმიო,  
 სურვილსაც ვეღარ მიუწერებთო. იქ რალა  
 უნდა ქმნას ლეკრომ, თვითონ ხედავს საქმე  
 აღარ ღირს წასვლად, მაგრამ მაინც შეჯდება  
 ცხენზედ და მისდევს იმ კაცს. ხშირად შეიძ-  
 ლება, რომ რაკი მიახლოვდებიან ავათმყოფისას  
 ან ეინმე შეხვდებთ და ან ხმას მოისმენენ  
 კვილი-კვილისას, იმავ წამს ის ლეკრის მხლე-  
 ბელი კაცი დაადგებს ლეკრს და ეავებით  
 ამას მიაშურებს, ლეკრი მარტოკა ისეე და-  
 ბრუნდება. მაინცა და მაინც საყველ  
 თათ ამ ჩვეულებას არ ესწერ, მაგრამ ას-  
 ში ათზედ თუ ვერა ვსთქვი, ოთხმო-  
 ცდა ათზედ უსათუოდ შემოძლია ესთქა  
 დამტკიცებით, რომ ასე უფურათ იქცევიან.  
 ისინი აღარბებენ ოჯახს სიკვდილითაც და  
 უფური ხარჯითაც. შემდგე სიკვდილისა რა  
 ჩვეულებები არის, ისიც ენახათ! რა დღესაც  
 მოკვდება, იმავ წამს შეიქნება ერთი დიდი  
 ხმაინაბა ასე, რომ თითქმის ორს ეერსზედ გაი-  
 სმის კვილი, სადაც შეიკრიბებიან მეზობლები  
 სამძიმრის მოსახლათ და შემდგე სამძიმრის  
 მოხდისა შედგება ერთი დიდი რჩევა ჰკვიანის  
 და მოხუცებულების კაცებისაგან, თუ რო-  
 ლის დანიშნონ ტირილის დღე. მართი ანბობს,  
 რომ ხუთ შაბათს, ამაზედ სხვანი ეწინააღმდეგე-  
 ბიან, მისთვის რომ ამ ორ დღესა ან წიგნის  
 დარიგება როგორ მოეკაროთ, ან სახლობების  
 მოსატყვება და ან ამა-და-ამა ქალაქილამ თევზის,  
 ანუ ხორცის მოტანაო და უკანასკნელს  
 დროს დანიშნენ ერთს სწორს ასრე, რომ  
 თუ კვირას მიცვლილა, მეორე კვირისათვის  
 იქნება ტირილის დღე. ამ განცხადებულს  
 დროს იქნებიან გამგებნი და მოსამსახუ-

საქართველო

რეგებანანი ასს კაცადის; უკანასკნელი გლეხიც არ იქნება, რომ ოცი და ოცდა ათი იმათიც არ ეყოლოს ამნაირ შემთხვევაზედ, და სულ დიდი კაცი ვინც არის, იმათ ორასი და სამასი კიდევ ცოტა ვსთქვი. აქ მაგალითად მომკაცეს შეძლებული ოჯახი. რა რომ ტირილის დღეს დანიშნენ, მაშინვე გამოარჩევნენ ერთს კარგს მოხუცებულ მათგანს დასმენ ერთს მწერალს და მოჰყვებიან სიის წერას. მინც კი არის მიცვალებულის ჭირს უფალის ნათესავი და ან ნაცნობი ყველას პატრონებენ, რომ კვირას ის მიცვალებული იტირონ. შოველს თითოეულს მათგანს უნდა მისწერონ ნახევარ ნახევარ თაბახ ქალღღებ და გზავნიან, ხოლო იქ რჩება ის ზემო განცხადებულნი გამგებნი და მოსამსახურენი დღისითა და ღამით მთელს ერთს კვირას, რომე-ღნიც ძალიან ძვირათ უჯდებათ. შექველია, რომ ტირილის დღეს, იქ მიბრძანდება ყოველად სამღვდელთა თვისი მართებულის კრებით, რომელწინადაც უნდა ესასობდეთ მარადის და იმათ განსაკუთრებული პატივი უნდა ესცეთ. ....

ამ დღეს ხარჯი, პური, ღვინო, და ხორცი, ორმოც მანეთამდის გადის; შემდეგ სადილსა, წაღვლენ ორი პირი მოზარე. ეს დიდ-კაცობის ნიშანია! რა რომ დაუახლოვდებიან მიცვალებულის სახლსა, მაშინ გამოიხტუნებენ ცხენებს ორი, ან ოთხნი მათგანნი და დაიწყებენ სარდლობას. გზაში ორ-ორი ჩადგებიან, რომ უფრო მომეტებულად გიყვინონ, ეს უფალი მიმსვლელი გადახურავს იმ მიცვალებულს ხუთს მანეთს. მასპინძელი კი იმაზე და იმის მომყოლ ხალხზედ ხარჯავს ორმოც მანეთამდის; ამაზედ თქვენ მკითხავეთ მკითხულო, რომ იმ კაცს ის ორმოცი მანეთი გაცუა შუაზედ და ნახევარი—ე ი—ოცი მანეთი თვისთვის შეენახა და ოცი მანეთი იმ სუთი მანეთის წასახურავისთვის დაემატებიაყო, ოღონდ კი ნუ მოხვალთ, უკეთესი არ იქნებოდარო?—რასაკვირველია კარგი იქნებოდა. მე ერთი იმ პირთაგანი, რომელიც მისდევს ამ ჩვეულებას, ამას ვამბობ; რადგან აწ ამის მიყოლა ჩვენთვის აუტანელი და სამძიმო ვახდა განსაკუთრებით ამ დროში. ჩემი აზრი მეტადრე ათას რეაას სამოცდა ოთხის წლიდამ გამოიცვალა და ამისთვის ეურჩევი, იმა-

თაც, ვინაც დღემდის ერთგულათ მსდევს იმ ზემოთ აწერილს ჩვეულებას. დანიშნულს დღეს რაც მოტირალი და იმისნი მიმყოლნი მივლენ, იმათ თითოეულათ პური უნდა აქმიონ და ეინ რა ნაირს საჭამად მოითხოვს, ყოველის უარის უთქმელად უნდა მიერთოს. **მ**თუ იმ დღეს უქმელ-უსმელი კაცი, ან ქალი ვინმე წაიდა შინ, დიდ ცოდვათ მიანიათ: ამბობენ, მიცვალებული იმისთვის უსათუოდ ჯოჯოხეთში ჩავაო. აქედგან წარმოიდგინეთ, თუ იმ დღეს რომდენი ხარჯი მოსდის მიცვალებულის პატრონს უსარგებლოდ.—რასაკვირველია, უკანასკნელი მიცვალებულის მონათესავე ისე არ მივა, რომ ასი ცხენოსანი კაცი და ქალი მაინც არ მიყოლიოს; და თუ ცოტა თავ მომწონე ვინმე არის, ორას ცხენოსანსაც არ დასჯერდება. რადა ბევრი გავაგრძელო მიცვალებულის ჭირსუფალს ზემოხსენებულ ხარჯს გარდა, იმ დღეს რომ გადასახურავი მოუა, იმას გარდა და ყოველ უმედურებას გარდა, მარტო იმ ერთ დღეს საქმელი დაეხარჯება ორასს-სამასს მანეთამდის. საღამოს მიცვალებულს გაასვენებენ ეკლესიაზედ. ამ განცხადებულის ტირილის დღიად ორმოცზედ იქნება გამოტირალი. ასი მანეთის პური და ღვინო მაშინაც დე-ხარჯება და თუ დიდი მებატონე ვინმეა, ნახევარ წელიწადზედ და წლის გასრულებამდეც დანიშნავს გამოტირლოს. ახლა იქაც გავდივით, თუ ის დაპატივებული სტუმარი როგორ მოქმედებს? რაკი დაპატივების წიგნს მიიღებს იმ საათიად იმისი კაცი დადის მეზობლობაში და ნაცნობობაში; პატივობს კაცსა

და ქალსა იმ დღისათვის წასაქრისა. ამანებს ზოგს ცხენი არა ჰყავს და ეს კაცი აძლევს საქირაო ფულებს, ზოგნი რომელნიმე სამუშაოთ მიდიან და ამასაც ქირაობს მოტირალი: რაო, და ეთიამ ერთი დიდი ჯარათ მივიდეთ, ქება არისო. ამ გვართ შეკრებს რაოდენსავე ცხენოსანს კაცსა და ქალსა. **მ**თითან ჯერეთ კიდევაც არ იცის, თუ რამოდენი მოუა და მოტირალი კი შინ ას კაცის სადილს ამაზღებს. ბათენდება წასვლის დღეც და იწყებენ მოსვლას დაპატივებულნი, ათს საათამდის ყველანი მოგროვდებიან; ამ მასპინძელს ისეთი სადილი აქვს გაკეთებული, რომ კარგს კორწოსს შეჰყვინოს, არა თუ მოტირალ ხალხსა, სადაც დაეხარჯვის ამდენი უნდაო ხალხის წაყვანს აუარებელი ხორავი. ამ გვართ ვინც ტირილშია დაპატივებული, ისიც დიდს ხარჯშია და მკედრის მასპინძელი ხომ სულ გაქარჩაიებულია. უკანასკნელი ამნაურის ოჯახი მიცვალებულისთვის ხარჯავს ორმოც სამოც თუმნისასა.

ის არა სჯობიან თქვენ მეზობელს რომ ვინმე ავათ გაუხდეს, მაშინვე ლეკოს მიაშურებს. ახლაში არ არის შესაშვები, რომ ლეკმა უსაფუძვლოთ მეტყუერი დალევინოს ავთამყოფს და ეთქვათ რომ კიდევაც დააღვივნოს, სულ ერთი არ არის: ვინდ მეტყუელით მომკედარა და ვინდა მაცოთურის მკითხავის კითხვისაგან. **მ**თუ ღმერთი გაწყრეს დი-ავთამყოფი მიიცვალოს, მაშინ იმ სუთასი მანეთის ნაცვლად ოთხი სუთი თუმანი იქნება, ის არა სჯობია, ხარჯით დაქცევას დაღვინებს მიცვალებული მახლობელის მონათესავეს თანადასწრებით დაიმარხოს, მღვდელს საწირავი მიეცეს, გლახებს მიცვალებულის სულისათვის იმის გამოჩაცვლი დაკრძავს, ისა სჯობია, ვიდრე მარჩიელისის უნდაო ხარჯი, ზარია კრებთ წირვა და სხვა ამისთანა გამოარბებელი ხარჯი ვასწივოს. მარტო სცა თათის დაღუბვა არ უნდა, ახლანდელ დროში ასე უნდა მოიქცეს.

ბურული ო... ბერიძე.

იმამბეზა და ჩაბარა ბაზომა

სინოპტიკური

ქ ა ლ მ ე ნ დ ა რ ი

1869 წლისა.

შ ა ს ი 5 შ ა შ რ ი.

ამ კალენდარში არის: თევების რიცხვი, აქაური და მეროპიული; მთვარის რიცხვი; ყოველი რჯულის უქმეები; ყოველი სამთავრო დღესასწაულები; ფრანგის წასვლი დღეები და ტელეგრაფის გასაზგანეი ფსი მთელ საქართველოში და გამოჩენილ ქალაქებში მთელი ქვეყნისა; მზის ამოსვლის დრო ტფილისში მთელი წლისათვის და სხვა. კალენდარზე არის წარმოდგენილი (ლიტოგრაფიით) ორი უმთავრესი ნაწილი ტფილისის რომლებიც არიან შემკული სხვა და სხვა მორთულობითა.

რ. ი.